პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 193 (6248)

1978 წ. 1 ოქტომბერი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## 1 ოქტომბერს საბჭოთა ხალხი აღნიშნავს მასწავლებლის დღეს

## მიცემულ სიტყვას პირნათლად შევასრულებთ!

მზის სხივებში ჩაფლულა ვარკეთილის ლენინის ორდენოსანი მეხილეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ვენახის პლანტაციები. მთელი ვარკეთილი რთველშია გაბმული. რამდენიმე დღეა ყურძნის კრეფა დაიწყეს და სახელმწიფო მარანს უკვე ათას ტონაზე მეტი ყურძენი ჩააბარეს, გეგმა კი 2750 ტონას ითვალისწინებს. ნასათუთარი ვენახი და დახუნძლული ვაზები იმის გარანტიას იძლევა, რომ აღებული გეგმა-ვალდებულება პირნათლად შესრულდება, ოღონდ საჭიროა ჭირნახულის დროული დაბინავება. ამიტომაც ახლა დიდსა და პატარას მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებს — რაც შეიძლება შემჭიდროვებულ ვადებში უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი.

ვარკეთილელებმა ჯერ კიდევ შარშან ისახელეს თავი, როცა სახელმწიფოს 1800 ტონამდე ხილი მიჰყიდეს. მევენახეები ცდილობენ არ ჩამორჩნენ მეხილეებს. ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილებებს, ჩვენი ქვეყნის ახალი კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავის წარმატებით აღსანიშნავად ვარკეთილელები ისწრაფვიან რთველი 7 ოქტომბრისთვის დაამთავრონ და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ რესპუბლიკაში 512 ათასი ტონა ყურძნისათვის გაჩაღებულ ლაშქრობაში. ამ საშვილიშვილო საქმეში მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა მხარდამხარ წარმატებით იღწვიან ფიზკულტურელებიც. მათი ძალებით ყოველდღიურად ტონობით ყურძენი იკრიფება. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თანრიგოსანმა სპორტსმენებმა: მ. ბერაიამ, თ. ფსუტურმა, მ. მიკუჩაძემ, ა. ბოხუამ, ი. გოგრიჭიანმა, ლ. წიკლაურმა, ვ. გოგიაშვილმა, ა. მარკოსიანმა, თ. ბარნაბიშვილმა და სხვებმა.

მეურნეობის ფიზკულტურელების გადაწყვეტილებაა თავდადებული შრომით ხელი შეუწყონ მევენახეთა მიერ მიცემული სიტყვის პირნათლად განაღდებას.

**ვ. დანელია,**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**
ვარკეთილი.

## „არც ერთი დღე მედლის გარეშე“

**ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ე. ბერიშვილი ტაშკენტიდან გვატყობინებს:**

□

**29 სექტემბერი.** ძიუდოისტთა შეჯიბრების მეორე დღე. გუშინ ჩვენმა ბიჭებმა „ოქრო“ და „ბრინჯაო“ მოიპოვეს. გუნდი ლიდერობს, მაგრამ მოპოვებულს გამტკიცება უნდა. ეს კარგად იციან ჯემალ მჭედლიშვილმა და დავით ოდიშვილმა. საქართველოს სპორტკომიტეტის ორთაბრძოლების სამმართველოს უფროსის ზურაბ ქორიძის სიტყვებიც კარგად ახსოვთ, ასპარეზობაზე გასვლის წინ რომ თქვა: „დევიზი ასეთია — არც ერთი დღე მედლის გარეშე!“

ჯემალ მჭედლიშვილი 75 კილოგრამის წონის კატეგორიაში გამოდის. პირველ წრეში მისი მეტოქეა მასპინძელი არიპოვი. ეს ის არიპოვია, ბარნაულში, ჩვენი ქვეყნის ჭაბუკ ძიუდოისტთა საკავშირო პირველობის ფინალში მჭედლიშვილის წინ რომ იდგა. მაშინ ქართველმა ძიუდოისტმა წმინდა გამარჯვება მოიპოვა და ჩემპიონი გახდა. და აი, წილისყრამ ისევ არიპოვი შეახვედრა — ახლა უკვე პირველსავე წრეში. ჯემალმა რევანშის აღების საშუალება არ მისცა მეტოქეს და ამჯერად ქულებით გაიმარჯვა. ქართველმა ფალავანმა ასევე ქულებით დაამარცხა კიშინიოველი სავენკო, ლენინგრადელი ს. პრონინი, მინსკელი გ. ხომჩიკი და ფინალში გავიდა.

გადამწყვეტი ორთაბრძოლა. მჭედლიშვილის პირისპირ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი იური ჟელეზნოვი დგას. ფსიქოლოგიური უპირატესობა ჩელიაბინსკელის მხარესაა — მან წინასწარ შეხვედრებში ყველა მეტოქე ვადაზე ადრე დაამარცხა.

გონგის ხმა. პირველი წამები. მეტოქეები ფრთხილობენ. მსაჯი აქტიურ ჭიდაობას მოითხოვს. მაყურებელი ამხნევებს ჯემალს და ისიც უტევს. ჯერ „კოკა“, შემდეგ „იუკო“. გამარჯვებისთვის ესეც საკმარისია, მაგრამ ჯემალი ისევ უტევს. აი, ჟელეზნოვის სხეულმა ჰაერში წრე შემოხაზა და ტატამზე დაენარცხა. „ვაზარი!“ არ დააყოვნა მსაჯმა **მჭედლიშვილმა ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა და გაიმარჯვა. მას სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედალი გადასცეს.**

ეს მიკროინტერვიუ სპორტის სასახლე „იუბილეინის“ ფოიეში შედგა. ჯემალს გამარჯვება მივულოცე და ვთხოვე ორიოდე სიტყვა ეთქვა საკუთარ თავზე.

— ახლახან 16 წლისა გავხდი. ქარელის რაიონის სოფელ ზემო ხვედურეთის საშუალო სკოლის X კლასში ვსწავლობ. ამ გამარჯვებას ჩემს თანაკლასელებს ვუძღვნი. მე მათ პირობა მივეცი, რომ შინ ოქროს მედლით დავბრუნდებოდი.

— როდის დაიწყე ჭიდაობა?

— ოთხი წლის წინ. პირველად ჩემი სოფლის საჭიდაოზე მოვსინჯე ძალა, შემდეგ რაიონულ შეჯიბრებებშიც ვმონაწილეობდი. კიმონო პირველად 1976 წელს ჩავიცვი. ამას ჩემს მწვრთნელს შალვა მელაძეს ვუმადლი.

— შინ რომ დაბრუნდები, ალბათ ისევ სასკოლო მერხს მიუჯდები...

— რა თქმა უნდა, ოღონდ ცოტა ხნით. ნოემბერში უნგრეთში ევროპის ჭაბუკ ძიუდოისტთა ჩემპიონატში მომიწევს გამოსვლა.

— თანაკლასელებს ისევ ოქროს მედალს თუ შეპირდები?

ჯემალს გაეღიმა.

— ვიცი იქ გაცილებით ძლიერი კონკურენცია იქნება, მაგრამ უკან დასახევი გზა არა მაქვს...

იმავე დღეს 68 კილოგრამს წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ლენინგორის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლე დავით ოდიშვილმა (მწვრთნელი სურენ ჩიგოევი).

**ჩვენმა ფეხბურთელებმა** ფინალური ტურნირის ბოლოსწინა მატჩი ლენინგრადის ნაკრებთან გამართეს და გაიმარჯვეს — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი 35-ე წუთზე მიხეილ მესხმა გაიტანა.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: უკრაინა-სომხეთი—1:0, რსფსრ-უზბეკეთი — 0:0, ახლა ქართველ და უკრაინელ ფეხბურთელებს 5-5 ქულა აქვთ, შემდეგ მოდიან რსფსრ-სა და უზბეკეთის გუნდები (4-4). დღეს ჩვენი ფეხბურთელები ბოლო, გადამწყვეტ შეხვედრას ატარებენ მასპინძლებთან.

გრძელდება **ტყვიის მსროლელთა** შეჯიბრება. წარმატებას მიაღწია ქუთაისელმა მოსწავლემ ილიკო ცაგანავამ (მწვრთნელები რ. გირგვლიანი და ს. ქუსიკაშვილი). მან „გაქცეულ ტახზე“ სროლაში 375 ქულით II ადგილი დაიკავა. პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში საქართველოს გუნდმა (პაატა მაზმანიშვილი, კოტე კოსმანიანი, მიხეილ ბეჟი) 1120 ქულა მოაგროვა და III საპრიზო ადგილზე გავიდა. პ. ზანოზრდის ასასხრდილელთა მიერ ნაჩვენები შედეგი ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდია.

შეჯიბრება დაამთავრეს ჭაბუკმა **ტანმოვარჯიშეებმა.** საქართველოს გუნდმა 561,68 ქულა მოაგროვა და VII ადგილი დაიკავა. უძლიერესი იყო ბელორუსიის ნაკრები (579,79).

ბოლოსწინა ტურში საქართველოს **მოჭადრაკეებმა** მარცხი იწვნიეს ესტონელებთან — 3,5:4,5. ახლა ჩვენს გუნდს 16,5 ქულა აქვს და II ფინალურ ჯგუფში IV ადგილზე იმყოფება.

## ჩემპიონთა მჯობნი

ასტრახანის მიდამოებში დამთავრდა საკავშირო პირველობა საპარაშუტო სპორტში. ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის წოდებები მოიპოვეს ი. კრიუჩკოვამ (სერპუხოვი) და ვ. ჩაიკამ (ვოროშილოვგრადი).

მათ ამ წარმატებას მიაღწიეს მსოფლიო აბსოლუტურ ჩემპიონთან, ლვოველ ი. ტერლოსთან, აკრობატულ ხტომებში მსოფლიო ჩემპიონთან თბილისელ ნ. უშმაევთან და სხვა გამოჩენილ ოსტატებთან ბრძოლაში. ასპარეზობის მონაწილეებმა იმდენად მჭიდრო შედეგები აჩვენეს, რომ ზოგიერთ ვარჯიშში გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი ხტომების ჩატარება გახდა საჭირო.

## ჭადრაკი

**გუშინ** ბიჭვინთაში გაიმართა ნ. გაფრინდაშვილისა და მ. ჩიბურდანიძის მატჩის მე-14 პარტია. იგი გადაიდო 43-ე სვლაზე. პრეტენდენტს ზედმეტი პაიკი აქვს.

პარტიის დამთავრება მოხდება დღეს.

**გუშინ** ბაგიოში გაიმართა ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩის 28-ე პარტია. იგი გადაიდო 42-ე სვლაზე.

## შაში

### მაია მოსიძე — ლიდერებში

**ალმა-ათაში** გრძელდება ასუჯრიან შაშში სსრ კავშირის ქალთა IV ჩემპიონატის ფინალი. მონაწილეებმა კიდევ ორი ტური ჩაატარეს.

VIII ტურში პირველი მარცხი იწვნია ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონმა ე. მიხაილოვსკაიამ. უკეთეს პოზიციაში ალმაათელ რ. პანფილოვასთან შეხვედრაში იგი შენიღბულ მახეში გაება და დამარცხდა. სსრ კავშირის ჩემპიონმა რ. ვიტკაუსკაიტემ (ვილნიუსი) მოუგო თანაქალაქელ ლ. ტრავინას.

საქართველოს ჩემპიონმა მაია მოსიძემ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ო. ლევინასთან (ხარკოვი), IX ტურში სძლია რიგელ დ. ფრეინბერგს. მოსიძე 6 ქულით ლიდერთა ჯგუფშია.

## ფეხბურთი

### უმაღლეს ლიგაში

29 სექტემბერს მოსკოვში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი ადგილობრივ „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტს“ შორის.

შეხვედრა მოიგეს დინამოელებმა ანგარიშით 3:1.

### დუბლიორთა მატჩი

**გუშინ** თბილისში გაიმართა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა კალენდარული შეხვედრა თბილისის „დინამოსა“ და ერევნის „არარატს“ შორის.

ანგარიშით 2:0 (0:0) გაიმარჯვეს თბილისელებმა. ბურთები გაიტანეს მუმლაძემ და ბოლქვაძემ.

თბილისელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: გაბელია (მამინაშვილი), ხიზანიშვილი, დურდიაძე, ჯოხაძე, მუჯირი, თავაძე (ახობაძე), ჭილაია, კოპალეიშვილი, მუმლაძე (ბოლქვაძე), ბაზაზაშვილი (კაკილაშვილი), ჩელებაძე (აფხაზავა).

## ოლიმპიადის ქალაქში



**ტალინი.** 24 ქვეყნის 500-მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა XXX საიუბილეო ბალტიის რეგატაში. მონაწილეთა შემადგენლობით ეს შეჯიბრება არ ჩამოუვარდებოდა მსოფლიო ჩემპიონატს. რეგატა ჩატარდა ოლიმპიური სარბოლო სისტემით იმავე დისტანციებზე, რომლებიც იქნება 1980 წლის ოლიმპიურ რეგატაში.

**სურათებზე:** ასპარეზობისას; ოლიმპიური რეგატისადმი მიძღვნილი სამკერდე ნიშანი.

ხაკდესის ფოტო.

## 1 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა

# სპორტის სიყვარულით

**ერთ-ერთი** პირველი მიდის სკოლაში, კოლეგებს, მოსწავლეებს მიესალმება და სპორტული დარბაზისაკენ გასწევს. იქაურობას შეათვალიერებს, სპორტულ კოსტუმს ჩაიცვამს და სკოლის ეზოში გამოდის. მოსწავლეები უკვე დილის გამამხნევებელი ვარჯიშისთვის გამწკრივებულან. არც ერთის შეცდომა არ გამოეპარება, ყველას აქცევს ყურადღებას. მერე გაკვეთილი იწყება...

ასეა ყოველდღე 32 წლის მანძილზე.

სხვანაირად ვერც კი წარმოუდგენია პატივცემულ დიმიტრის. დიახ, სამ ათეულ წელიწადზე მეტია, სამშობლოს ჯანსაღ კუნთმაგარ ფიზკულტურელებს და სპორტსმენებს უზრდის. ვინ მოთვლის რამდენი ნიჭიერი სპორტსმენი გამოაწრთო ამ გულმოდგინე პედაგოგმა: საბჭოთა კავშირის ჩემპიონები ახალგაზრდებს შორის — მძლეოსნები სვეტლანა ალექსანდროვა და ედუარდ სტეფანიანი, ამიერკავკასიის ჩემპიონი ბურთვის კვრაში რაულ ლომინაშვილი და სხვ.

— დიმიტრი მახარაშვილთან ერთად რამდენიმე წელიწადია ვმუშაობ, — გვეუბნება მისი კოლეგა, ფიზკულტურის მასწავლებელი ნუგზარ გეგენავა. მაოცებს ბავშვებთან ამ ენერგიული კაცის დამოკიდებულება. ტყუილუბრალოდ არავის დაუყვირებს. თუ ბავშვს რომელიმე ილეთი არ გამოსდის, გაამხნევებს, შემდეგ თვითონვე რამდენიმეჯერ უჩვენებს ვარჯიშს. თუ მოსწავლეს კარგი სპორტული მონაცემები შეამჩნია, დაუყოვნებლივ ჩააბამს სპორტულ სექციაში. მეც პატივცემული დიმიტრის აღზრდილი ვარ — სწორედ მან შემაყვარა მძლეოსნობა.

დიმიტრი მახარაშვილი ახალგაზრდობაში თვითონ იყო მძლეოსნობით გატაცებული. ჯერ კიდევ ბავშვობაში სულმოუთქმელად შემოურბენდა ხოლმე რამდენიმე წრეს სოფელ ჯიღაურის (მცხეთის რაიონი) ველ-მინდვრებს. მერე კი სტუდენტობა — ფიზკულტურის ინსტიტუტი, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1939 წელს, ახალგაზრდა მწვრთნელი ფიზკულტურის მასწავლებლის დიპლომით გაგზავნეს ყაზახეთში, ქალაქ ურალსკში. სწორედ აქ მოუსწრო დიდმა სამამულო ომმა. რარიგ გამოადგა ფიზკულტურა და სპორტი ახალგაზრდა მეომარს მრისხანე წლებში.

ომის დამთავრების შემდეგ საყვარელ საქმეს დაუბრუნდა. 20 წლის მანძილზე თბილისის 64-ე საშუალო სკოლაში უფროს მასწავლებლად მუშაობდა, 1966 წლიდან 134-ე სკოლაში მოღვაწეობდა, ხოლო უკანასკნელი ოთხი წელიწადია თბილისის მე-2 ექსპერიმენტული სკოლის ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელია.

პირდაპირ უნდა ითქვას, ადრე ამ სკოლაში ფიზკულტურას და სპორტს არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ახალმა მასწავლებელმა სკოლის დირექციის წინაშე სპორტული დარბაზის აუცილებელი მშენებლობის საკითხი დასვა. წინადადებას მხარი დაუჭირეს. და აი დღეს მეორე ექსპერიმენტული სკოლის ნორჩ მოსწავლეებს ჩვენს ქალაქში ერთ-ერთი კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი აქვთ.

ამ დარბაზის შექმნის შემდეგ სკოლაში სპორტული წრეების მუშაობა გაცილებით უფრო შინაარსიანი, საინტერესო და ნაყოფიერი გახდა. თვითონ მახარაშვილი მძლეოსნობის სექციას ხელმძღვანელობს, რომელშიც ამჟამად 40-მდე ნიჭიერი ბავშვია. წრე ყოველწლიურად ღებულობს შევსებას დაბალი კლასების მოსწავლეებისაგან. სექციის აღსაზრდელებს უკვე აქვთ მოპოვებული პირველი წარმატებები. ასე, მაგალითად, აკაკი კოპალეიშვილი ამას წინათ ქალაქის ჩემპიონი გახდა მოსწავლეებში სიგრძეზე ხტომაში. კარგი შედეგები აქვთ, აგრეთვე, ალექსანდრე მ[illegible] ჭვარ-შეიშვილს [illegible] ხარია დიმიტრი[illegible] წარმატებები.

— მძლეოსნობა თავდაპირველად არც ისე ძალიან მომწონდა — გვეუბნება მეექვსეკლასელი ა. კოპალეიშვილი. — მშობლებიც თითქოსდა წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ პატივცემულმა დიმიტრიმ ყველაფერი გააკეთა, რათა სპორტის ამ სახეობით დავინტერესებულიყავი. გამოგიტყდებით, არ ვნანობ — თანატოლებში ხომ ჩემპიონობა მოვიპოვე. ცხადია, წარმატება პირველმა ჩემმა მასწავლებელმა მომილოცა. დიდი მადლობელი ვარ მისი.

...თმებში ჭაღარა გაერია, შეუმჩნევლად მიილია 64 წელი. პენსიაზე მინდაო გასვლა, წამოსცდა ერთხელ კოლეგებთან. მაგრამ სახლში გული აბა როგორ გაუძლებს, თავისი ცოდნა და გამოცდილება ჩვენს მომავალს რომ არ გადასცეს.

**თ. მორგოშია.**

---

„განთიადის“ რესპუბლიკური...

## ცისბულსკაიების ცხრა გამარჯვება

**„განთიადის“** ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადის პროგრამით მოცურავეთა შეჯიბრება ბათუმში გაიმართა. პირველობისთვის იბრძოდნენ სპორტკლუბების „უშბისა“ და „განთიადის“, აგრეთვე, 8 დარგობრივი პროფკავშირის ნაკრები გუნდები.

გოგონათა შორის წარმატებით იასპარეზეს მანქანათმშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წევრებმა, დებმა ლ. და ი. ციბულსკაიებმა. ლარისამ 6 სახეობაში იმარჯვა, ხოლო ირინამ სამი დისტანცია მოიგო.

ლარისა ციბულსკაია სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა 100 (1.07,2), 400 (5.11,0), 800 (11.04,9) მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, 100 (1.13,0) და 200 (2.36,0) მეტრზე გულაღმა და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 5.55,7.

მისმა დამ, ირინამ კი მოიგო 100 და 200 მეტრზე ბატერფლაით ასპარეზობა (შესაბამისად 1.12,6 და 2.47,8) და 200 მეტრზე კომპლექსური ცურვა — 2.46,0. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მანქანათმშენებლობის პროფკავშირის კოლექტივის წარმატებაში.

ვაჟთა შორის თავი ყველაზე მეტად გამოიჩინა ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გუნდის წევრმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ი. ომელჩენკომ, რომელმაც მოიგო 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა — 58,7, მერე კი გულაღმა 100 და 200 მეტრზე ასპარეზობაში იმარჯვა — 1.01,8 და 2.22,8 შესაბამისად.

სხვა სახეობებში ქალთა შორის სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — მ. მანუკიანი (მანქანათმშენებლობის პროფკავშირი) — 2.30,4, ბრასით 100 მეტრზე — მ. კაპლანი (ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის პროფკავშირი) — 1.27,2, 200 მეტრზე — ს. სოვდაგრიშვილი (საფეიქრო მრეწველობის პროფკავშირი) — 3.03,4, 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მანქანათმშენებლები — 4.44,8. ასეთივე, ოღონდ კომბინირებულ ესტაფეტაში წარმატებისთვის მათ 5 წუთი და 12,2 წამი დასჭირდათ.

ვაჟებში პირველი ადგილები დაიკავეს: 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — ა. პოტაპოვმა (ქვანახშირის მრეწველობის კავშირი) — 2.12,7, 400 მეტრზე — რ. იაკოვლევმა (მანქანათმშენებლობის კავშირი) — 4.44,4, 1500 მეტრზე — ვ. იუხნევიჩმა („განთიადი“) — 18.52,5, ბატერფლაით 100 და 200 მეტრზე ასპარეზობაში — გ. არზუმანოვმა (მსუბუქი მრეწველობის კავშირი) — 1.03,4 და 2.36,2, ბრასით 100 მეტრზე — ე. ბურმისტროვმა („განთიადი“) — 1.13,0, 200 მეტრზე — ო. გოგილიძემ (ქვანახშირის მრეწველობის კავშირი) — 2.44,6. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაშიც ბურმისტროვმა იმარჯვა — 2.32,4. 400 მეტრზე — ი. დუშკომ (მეტალურგიული მრეწველობის კავშირი) — 5.52,9. თავისუფალი სტილით 4×200 მეტრზე ესტაფეტა მსუბუქი მრეწველობის კავშირის გუნდმა მოიგო — 9.48,0, 4×100 მეტრზე კომბინირებული ესტაფეტა კი ქიმიური მრეწველობის პროფკავშირის კვარტეტმა — 4.30,2.

გუნდურ ჩათვლაში მეორე და მესამე ადგილები წილად ხვდათ ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის პროფკავშირისა და მეტალურგების ნაკრებ კოლექტივებს.

**ზ. ჯორჯაძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

---

## ქართველ ფალავანთა უპირატესობით

ჭიდაობა

**გორის** საჭიდაო დარბაზში სამ დღეს მიმდინარეობდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს თასის გათამაშება ძიუდოში, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ს, ბელორუსიის, უკრაინის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოსა და ყაზახეთის ნაკრები გუნდები (საქართველომ და ყაზახეთმა სარბიელზე ორ-ორი გუნდი გამოიყვანა).

საკავშირო გათამაშების ძირითადი მიზანი სტუდენტთა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატთა შერჩევა გახლდათ. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა სარბიელზე გამართული უშეღავათო ბრძოლები. ჩვენი რესპუბლიკის ორივე გუნდმა თავიდანვე მიიქცია ყურადღება და ბოლოს სწორედ მათ შორის გაიმართა პაექრობა საკავშირო თასისთვის.

საქართველოს პირველმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში მიუნხენის ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ჩოჩიშვილიც გამოდიოდა, … მაჯერებლად დაამარცხა ყაზახეთ… პირველი (6:1), რსფსრ-სა (4:2) … ბელორუსიის სტუდენტთა ნაკრ… ბები, ხოლო მეორე გუნდმა მშრალ… ანგარიშით სძლია მოსკოვის (7:0)… ყაზახეთის მეორე (7:0) და უკრაი… ნის (5:0) კოლექტივებს.

ქართველ ფალავანთაგან შესან… შნავად იჭიდავეს შ. ჩოჩიშვილ… ნ. ნუგზარიშვილმა, ტ. მეთოშვი… ლმა, დ. ხაბულიანმა, კ. ხუბულ… რმა, ე. ბერუაშვილმა და სხვებმ… ფინალში ერთმანეთს ჩვენი რეს… პუბლიკის პირველი და მეორე გუ… ნდები შეხვდნენ. მეტად დაძაბუ… ლი ბრძოლა პირველი გუნდის ს… სარგებლოდ დამთავრდა და „ბუ… რევესტნიკის“ ცენტრალური საბ… ჭოს თასიც მას გადაეცა.

III-IV ადგილებზე არიან უკრ… აინისა და რსფსრ-ს კოლექტივებ…

**ი. თევდორაშვილი.**

---



მესამე წელია, რაც საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრების ყოფილი წევრი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ელდარ კაპანაძე გორის ბავშვთა სპორტსკოლაში მუშაობს. სწორედ მისი დამსახურებაა ამ გოგონებს ასე რომ უყვართ ფრენბურთი. წელს, სპორტსკოლის გოგონათა გუნდმა რესპუბლიკის მოსწავლეთა XXX სპარტაკიადაზე IV ადგილი დაიკავა. ამ ფოტოსურათზეც გორელი გოგონების მორიგი მეცადინეობაა აღბეჭდილი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

---

# თბილისიდან ტოკიოში

მძლეოსნობა

ის იყო თბილისის „დინამოს“ სტადიონზე დამთავრდა მძლეოსნობაში სსრ კავშირის ჩემპიონატი, რომ ქვეყნის ნაკრების წევრებმა სამზადისი დაიწყეს ტოკიოში გამგზავრებისთვის. იაპონიის დედაქალაქში „სპორტის დედოფლის“ რაინდთა ასპარეზობაში მონაწილეობისთვის რვა ქვეყნის სამასამდე სპორტსმენი იყო მიწვეული.

მძლეოსნობის „ვარსკვლავების“ ორთაბრძოლების საყურებლად 25 ათასამდე მაყურებელი შეგროვდა. ეს ინტერესი იმანაც გამოიწვია, რომ ამომავალი მზის ქვეყანაში გამართულ ამ დიდ საერთაშორისო ტურნირში რვა მსოფლიო რეკორდსმენი მონაწილეობდა.

საბჭოთა ათლეტებმა, რომლებმაც სამიოდე კვირის უკან ევროპის ჩემპიონატში ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს, აქაც დაადასტურეს, რომ ისინი ღირსეულად ატარებენ სამყაროში ერთ-ერთ უძლიერეს მძლეოსანთა სახელს. მათ შეჯიბრების პროგრამის ნახევარში იმარჯვეს და 149 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. II ადგილზე პოლონეთის გუნდი გავიდა.

მაყურებელთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა სახტომ სექტორებში გამართული ასპარეზობა, რომლებშიც მსოფლიო რეკორდსმენი ვ. იაშჩენკო და სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვ. სანეევი მონაწილეობდნენ.

თბილისელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ჩემპიონობა 17,03 მეტრზე ნახტომით მოიგ… ტოკიოში კი 1 სანტიმეტრით ნა… ლები აჩვენა, მაგრამ მისი ჯობნ… მაინც ვერავინ შეძლო.

ასევე მიუწვდომელი იყო ზაპო… როჟიელი ვ. იაშჩენკო სიმაღლეზ… ხტომაში — 228 სმ და ლენინგრა… დელი ვ. ტროფიმენკო ჭოკით ხტ… მაში — 550 სმ.

საბჭოთა სპორტსმენებიდან … მარჯვება მოიპოვეს, აგრეთვე, … ეველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა … სედიხმა უროს ტყორცნაში … 74,44 მ., ვ. იგნატენკომ 100 მეტ… ზე — 10,4, მინსკელმა ა. ფედო… კინმა — 5000 მეტრზე — 13.31, … დონეცკელმა ვ. არხიპენკომ 40… მეტრზე თარჯრბენში — 49,45 … ვიტებსკელმა ნ. გრებნიოვამ შუბ… ტყორცნაში — 87,46 მ.

…ველში არც ქალები დარჩნე… მართალია, სიგრძეზე ხტომაში ე… როპის ჩემპიონსა და მსოფლი… რეკორდსმენს, ვილნიუსელ ვ. ბა… დაუსკვნეს ბედი მაინცდამაინც … წყალობდა, მაგრამ პირველი ადგ… ლის მოპოვება მაინც შეძლო—6,5… უძლიერესნი იყვნენ, აგრეთ… ანდიჟანელი ს. ულმასოვა — 150… მეტრზე რბენაში (4.10,8), როსტ… ველი ლ. კონდრატიევა—200 მე… რზე ასპარეზობაში (22,81), ლე… ნინგრადელი ტ. ანისიმოვა — 10… მეტრზე თარჯრბენში (13,03) … ქალთა კვარტეტი 4×100 მეტრ… ესტაფეტაში — 43,04.

---

## სპორტული სამტრედია

ქალაქის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა რაიონის პირადგუნდური პირველობა სახანძრო-გამოყენებით სპორტში. სარბიელზე 9 გუნდი გამოვიდა. პირველობა მოიგო „საქხის“ სამტრედიის ბაზის ნაკრებმა, პირად პირველობაში ყველას აჯობა ამ ბაზის მუშაკმა ე. კვირკველიამ.

• • •

„ლოკომოტივის“ აუზში ქალაქის რუხნიგზის მე-13 სკოლის მოსწავლეებმა გამართეს კომკავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრება. მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში 98 ბავშვი მონაწილეობდა. სამწუხაროდ, ამ ბაზას ცურვის სწავლებისთვის რეგულარულად როდი იყენებენ. ურიგო არ იქნებოდა თუ მე-13 სკოლის მაგალითს ქალაქის სხვა სკოლებიც მიბაძავენ.

**ი. ნიკოლეიშვილი.**

# „ჰერტა" — ნაცნობი მეტოქე

უეფა-ს თასის მიმდინარე გათამაშების II რაუნდის მეტოქედ წილისყრამ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს არგუნა ევროპულ ფეხბურთში საკმაოდ ცნობილი და გამოცდილი გუნდი — დასავლეთ ბერლინის „ჰერტა", რომელიც საერთაშორისო ტურნირებში დამოუკიდებლად მონაწილეობს თავისი ქალაქის სახელით, ისე კი, როგორც წესი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნულ ჩემპიონატში გამოდის.

„ჰერტა" ნაცნობი გუნდია თბილისის „დინამოსთვისაც" და თბილისელი მაყურებლისთვისაც. 1972 წლის 26 აგვისტოს თბილისის „დინამომ" დასავლეთ ბერლინში ითამაშა „ჰერტასთან" და მინიმალური ანგარიშით დაუთმო მასპინძლებს — 0:1. მეტოქეთა მაშინდელი შემადგენლობები ცნობილი არაა, მივაგნით მხოლოდ იმ ძუნწ ცნობას, რომ ამ შეხვედრის ერთადერთი გოლი მე-16 წუთზე გაუტანია ვაინერს.

თბილისის „დინამოსა" და დასავლეთ ბერლინის „ჰერტას" განმეორებითი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი 1973 წლის 10 მაისს შედგა თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე. თბილისელებმა მაშინ შეძლეს „ჰერტას" ვალის გასტუმრება და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. გუნდების შემადგენლობები ასეთი იყო: **„დინამო"** — გოგია (ჩლაიძე), პეტრიაშვილი, ებრალიძე, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მჭედლიშვილი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი (ფ. რეხვიაშვილი), ყიფიანი, წერეთელი (ლ. ნოდია); **„ჰერტა"** — ვოლტერი, ცვენგერლე, მიულერი, ჰერმანდუნგი, ჰანიში, ბეერი, ბრიუკი, ვერტმიულერი, ლენცი, ჰორი, რიდლი. მსაჯობდა მოსკოველი ე. ლიპატოვი.

მატჩი ჩატარდა ძალზე საინტერესოდ, მაღალ ტემპში, ორივე მხარის აქტიური მოქმედებით. თბილისელებს აკლდათ დაცვითი ხაზის წამყვანი მოთამაშეები — ხურცილავა, ძოძუაშვილი და ჰელოძე, მაგრამ მათი შემცვლელები საჭირო სიმაღლეზე აღმოჩნდნენ, კარგად ითამაშა მეკარე გოგიამაც.

მოგვყავს ციტატა „ლელოში" გამოქვეყნებული მაშინდელი სარეცენზიო წერილიდან.

„საინტერესო დეტალია: სტუმრებმა დასაწყისშივე, პირველ წუთებზე აულეს ალღო, რომ თბილისის „დინამოს" შეტევაში წამყვან, ცენტრალურ ფიგურას ყიფიანი წარმოადგენდა და დრო არ დაუკარგავთ ხიფათის თავიდან ასაცილებლად — მას მაშინვე მიუჩინეს პერსონალური დარაჯი — ბრიუკი. ეს სწორი ტაქტიკური გადაწყვეტილება იყო, მაგრამ თუ ბრიუკმა ვერ შეძლო ყიფიანის ნეიტრალიზება, ეს მისი ბრალი არაა. ჩვენმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბრწყინვალედ ითამაშა და ბრიუკის გარდა სხვებსაც გასაწურად გაუხადა მაისურები".

ანგარიში გაიხსნა 57-ე წუთზე. დინამოელებმა კარგად გაითამაშეს კუთხური: მჭედლიშვილი — ასათიანი — მაჩაიძე, ამ უკანასკნელის დარტყმა მოიგერია მეკარემ, მაგრამ ბურთს მიუსწრო ყიფიანმა და ზუსტად გაგზავნა იგი ბადეში. 2 წუთის შემდეგ კომბინაცია ასათიანი — ყიფიანი — რეხვიაშვილი მეორე გოლით დამთავრდა სტუმრების კარში.

„ჰერტა", როგორც ვთქვით, გფრ-ის ბუნდესლიგის ჩემპიონატში მონაწილეობს. წლევანდელი გათამაშება გუნდმა ერთობ წარუმატებლად დაიწყო. I ტურში დარმშტადტში ფრედ ითამაშა ადგილობრივ გუნდთან — 0:0, II ტურში შინ წააგო „კაიზერსლაუტერნთან" — 0:3, ხოლო III ტურში ნიურნბერგში დამარცხდა ამავე სახელწოდების გუნდთან — 1:2.

უეფა-ს თასზე „ჰერტამ" თავის მინდორზე ფრედ ითამაშა ბულგარეთის „თრაკიასთან" — 0:0, მაგრამ შეძლო გამარჯვების მოპოვება მეტოქის მინდორზე — 2:1.

თბილისის „დინამო" უეფა-ს თასის II რაუნდის პირველ მატჩს „ჰერტასთან" დასავლეთ ბერლინში ითამაშებს 18 ოქტომბერს, ხოლო 1 ნოემბერს თბილისში მიიღებს მეტოქეს.

**ფეხბურთი**



# როცა ბუნებაც ჟინიანობს

**სამხრეთ** შხარაზე ვდგავართ. აქედან ისევე კარგად მოსჩანს დასავლეთ შხარას ღელემდე გაუვლელი სამხრეთ დასავლეთი კედელი, როგორც სამხატვრო გალერეაში დაკიდებული ფერწერული ტილო. ერთობ რთულად დასაძლევი ბასტიონია — მთლად შვეული, ალაგ-ალაგ უარყოფითი დახრილობისა. თოვლი ფეხს ვერ იკიდებს მასზე, მხოლოდ მწვერვალის თხემია დათოვლილი. სამაგიეროდ, კედლის ძირამდეა თავზე საყრელი თოვლი, უფრო სწორედ მყინვარი — უზარმაზარი ყინულის ველი. ჩაშავებული, უძირო ნაპრალები ისე გასდევს ერთმანეთს, როგორც ზებრას ზოლები. ცოტა ზემოთ დიდი დაქანების ყინულოვანი ფერდობია, რომელიც მწვერვალის კედელს ებჯინება.

რამდენიმე დღეში კედლის ძირთან ავა ჩვენი ექსპედიციის ძირითადი ჯგუფის ხუთი წევრი: აგი აბაშიძე, სერგო ბარლიანი, შაქრო გაბისიანი, შოთა მირიანაშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი) და ოთარ ხაზარაძე (გუნდის კაპიტანი). შემდეგ კი ალბათ გადამწყვეტ იერიშს მიიტანენ მწვერვალზე, რათა საკავშირო ჩემპიონატის ტექნიკური ასვლების კლასში მიიღონ მონაწილეობა. ეტყობა, ამ ხუთეულისთვის ეს მწვერვალი ნამდვილი გოლგოთა იქნება. ყინულოვან ფერდობზე წრიაპებით სიარული, საფეხურების ჩეხვა და ერთთავად საიმედო დაცვის ორგანიზაცია დიდ ენერგიას წაიღებს. მაგრამ ეს ყველაფერი მათთვის „გასეირნება" იქნება იმასთან შედარებით, რაც კლდეზე მოუწევთ. იქ, როგორც სჩანს, თითქმის ზედ მწვერვალამდე ვერც კარავს დადგამენ, ვერც ჩამუხლებულნი გაათენებენ ღამეს.

მადლობა ღმერთს, ახლაც დიდებული ამინდია, მოკრიალებულ ცაზე ერთი ნაფლეთი ღრუბელიც არ სჩანს. არც ქარის საშიშროებაა. იმედი გვაქვს, ყველაფერი რიგზე იქნება. ამ იმედით ვეშვებით შხარას მისადგომებისკენ.

რამდენიმე დღეში კი დაიწყება...

მანამდე ექსპედიციის წევრებმა სავარჯიშო და საკვალიფიკაციო ასვლები მოაწყეთ ცენტრალური კავკასიონის მწვერვალებზე. 25 კაცმა 25 მწვერვალი დაიპყრო. მათ შორის იყო მე-5 კატეგორიის გზებით დალაშქრული მწვერვალები აილამა, ცენტრალური ჯანღა, სამხრეთი შხარა, მე-4 კატეგორიის „ბილიკებით" თეთრი უცნობი, შავი უცნობი. რთულ ასვლებში ყველაზე ხშირად მონაწილეობდნენ დავით ბაიდაური, ზურაბ სუჯაშვილი, ირაკლი გელდიაშვილი, თამაზ ხინჩილაშვილი, ვიქტორ რიბინსკი... ორი ქალიც იყო — ნუნუ ლაცაბიძე და თამარ ბილიხოძე. მათ მიერ სამხრეთ შხარას მე-5 კატეგორიის გზით დალაშქვრის შესახებ ჩვენ უკვე ვუამბეთ მკითხველებს. შეგახსენებთ მხოლოდ, რომ საქართველოს ქალების მიერ ასეთი რთული მარშრუტით მწვერვალზე ასვლა ერთობ იშვიათი მოვლენა გახლავთ.

მწვერვალებზე ასვლებიდან თავისუფალ დროს საქართველოს ალპური კლუბის წევრების საერთო ფიზიკური მომზადების პროგრამაში სხვადასხვა სპორტული თამაშობანი შედიოდა. განსაკუთრებით პოპულარული იყო მაგიდის ჩოგბურთი და, რა თქმა უნდა, ფეხბურთი. ფეხბურთში ჩვენი ბიჭები ყველა დანარჩენი რესპუბლიკების გაერთიანებულ ნაკრებს ნიადაგ ჯაბნიდნენ.

ვიდრე შხარას მისადგომებთან ავიდოდით, უშგულში, სოფლის თავში დავბანაკდით. უშგულელებს გაეგოთ ჩვენი ფეხბურთელების უძლეველობის ამბავი. მოვიდნენ და გვეუბნებიან, მოდით, ფეხბურთი ვითამაშოთ: საქართველოს ალპური კლუბი — უშგულის ნაკრები, დამარცხებულმა ვახშამი გამართოსო. ჩვენმა ბიჭებმა, ეტყობა, იფიქრეს, მთაში გაზრდილი კაცი ფეხბურთის ბაიბურშიც არ იქნებაო. მაგრამ, როცა ლამაზად უკან მოწყობილი ფეხბურთის მინდორი ვნახეთ, ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდით. და, როგორც გამოირკვა, არც თუ უსაფუძვლოდ: თამაში მასპინძლებმა დამაჯერებლად მოიგეს — 8:4 და... გახარებულმა უშგულელებმა, თვითონვე დაგვპატიჟეს ვახშამზე... სწორედ აქ, ამ მეგობრულ შეხვედრაზე ვისაუბრეთ მასპინძლებთან შხარასა და მის დამპყრობთა შესახებ. განსაკუთრებით თბილად, პატივისცემით, სიყვარულითა და სინანულით იხსენებდნენ ცნობილ ქართველ ფოტოჟურნალისტსა და მთამსვლელს გურამ თიკანაძეს. იგი ხომ სწორედ ცენტრალურ შხარადან ჩამოსვლისას დაიღუპა. მთამსვლელების შემდეგ, ვინც საკაცეზე დასვენებული გურამის ცხედარი ჩამოასვენეს, პირველნი უშგულელები იყვნენ. მთელმა უშგულმა დაიტირა გურამი, და არა მხოლოდ უშგულმა...

გამომშვიდობებისას მასპინძლებმა გზა დალოცეს და მშვიდობით დაბრუნება გვისურვეს. მაშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ უშგულელები [illegible] სტუმართმოყვარე ხალხია. დავრწმუნდით იმაშიც, რომ [illegible] უყვართ მთამსვლელებს და, რომ ალპინიზმზე ნაკლებად არც ფეხბურთი უყვართ...

ახლა კი დროა, დავუბრუნდეთ ჩვენს ხუთეულს, რომელიც საიერიშო სამზადისშია — ბიჭები ანაწილებენ პროდუქტს, ახვევენ თოკებს, კეცავენ კარავს, ითვლიან ყინულისა და კლდის პალოებს, ჩაქუჩებს, შლამბურებს, იგებენ წრიაპებს, ამზადებენ ფოტოაპარატებს...

ჩახჩახა მზე კი უხვად აფრქვევს მხურვალე სხივებს. თუმცა მყინვარი იქვე, ჩვენი კარვების კიდესთან ჩამოდის, მაინც უმოწყალოდ ცხელა.

ხუთეული კი ბარგი-ბარხანას იკიდებს და გზას მიუყვება...

ამ ჯგუფის სამმა წევრმა აბაშიძემ, მირიანაშვილმა და ხაზარაძემ 1969 წელს ცენტრალურ შხარაზე ახალი „ბილიკი" გაკვალეს სამხრეთის შვეულ კედელზე, რისთვისაც საკავშირო ჩემპიონატში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. მაშინ მათთან ერთად იყო დიმიტრი დანგაძეც. ახლა, სამწუხაროდ, ეს ნაცადი მთამსვლელი დროებით გამოაკლდა ჯგუფს — სეზონის დასაწყისში ვარჯიშისას დაშავდა.

დანგაძეს შხარას მასივიდან მანამდეც ჩამოუტანია საკავშირო ჩემპიონატის მედალი. ეს მოხდა 1958 წელს როცა დანგაძემ, ოთარ კაპანაძემ და ავთანდილ ძიძიგურმა დიმიტრი ობოლაძის მეთაურობით პირველი კედლოვანი ასვლა მოაწყეს დასავლეთ შხარაზე სამხრეთ-დასავლეთის ბასტიონის ავლით. ეს იყო პირველი კედლოვანი ასვლა შხარას მასივის მწვერვალებზე.

საერთოდ, შხარას მასივზე პირველი ასვლა სანდრო გვალიას ჯგუფმა განახორციელა. მათ 1933 წელს დაიპყრეს მთავარი შხარა.

რა იქნება ახლა, თავიანთ მრავალ „ოქრო-ვერცხლს" კვლავ მიუმატებენ თუ არა ჩვენი ბიჭები საკავშირო ჩემპიონატის მედლებს? ზედიზედ მეოთხედ კვლავ მოიპოვებენ თუ არა ჯილდოებს? ვიდრე ეს გაირკვევა, მანამდე ბევრი დროა და შხარას ძირში დაბანაკებულებს მოსვენება დაკარგული გვაქვს. ჯერ ხომ მწვერვალზე ასვლაა საჭირო და იქიდან მშვიდობით დაბრუნება. მედლები ვილას ახსოვს. მთამსვლელები ხომ მედლებისთვის არ დადიან მთაში!...

ბიჭები რომ მწვერვალისკენ წავიდნენ, მზე ისევ უმოწყალოდ აცხუნებდა, მაგრამ, აბა, შხარა რისი შხარაა, თუ ქარიშხალი არ დაიტეხა თავზე და მთამსვლელებს გამოცდა არ მოუწყო?

ცა ტყვიისფერ ღრუბლებს დაუფარავს. კარვებზე ხან ხოშკაკალას გააქვს ტკაპა-ტკუპი, ხან ათოვს. აქამდე თუ სიცხისგან ვითანგებოდით, ახლა სიცივისგან კბილებს ვაკაწკაწებთ. ასე გრძელდებოდა შვიდ დღესა და შვიდ ღამეს. და თან მოუთმენლად ველოდით მწვერვალზე გასულებთან რადიოკავშირს. ისინიც გვამხნევებდნენ, ნუ დარდობთ, ბიჭებო, ყველაფერი რიგზეაო. არადა, გამხნევება ჩვენ კი არა, იმათ უფრო უნდოდათ...

და აი, ნანატრი დღეც მოვიდა.

— ბიჭებო, მწვერვალზე ვდგავართ, მარშრუტი კარგად გავიარეთ. ვიწყებთ დაშვებას, — სალამოხანს გადმოგვცეს რადიოთი.

თითქოს ბუნებაც ჟიმობდა მთამსვლელთა გამარჯვებას. იმ დღის მიწურული ერთადერთი იყო ასვლის დღეებს შორის, როცა ტყვიისფერი ღრუბლები სადღაც გაიფანტა, როცა ცა კვლავ ლურჯად შეიღება.

ისინი რომ მწვერვალზე იდგნენ, დასავლეთით ცას მეწამული დასდებოდა. ცეცხლისფერი მზის დისკო სადღაც შორს, ჰორიზონტზე დასვენებულიყო. დასავლეთიდანვე ორთავე უშბა ბოლავდა. მრისხანე მწვერვალს რუხი ფერი გადაჰკვროდა.

ქვემოთ, სვანეთის სოფლებში ბინდი იპარებოდა და თანდათან მძლავრდებოდა.

მთამსვლელები, მას შემდეგ, რაც მწვერვალზე გავიდნენ, პირველად შლიდნენ კარავს...

ა. გურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
შხარის მყინვარი.







სურათებზე: ჯანღასა და შხარას მასივის მწვერვალები. დროშით აღნიშნულია მწვერვალი, რომელზეც საკავშირო პირველობისთვის საკონკურსო ასვლა მოეწყო; ასვლის მონაწილენი: გ. აბაშიძე, ო. ხაზარაძე, შ. მირიანაშვილი, შ. გაბისიანი და ს. ბარლიანი; ყინულოვან მონაკვეთზეა შ. გაბისიანი; საქართველოს ალპური კლუბის ექსპედიციის წევრები ზ. სუჯაშვილი, დ. ბაიდაური, ო. ხაზარაძე და მ. ხუციშვილი მწვერვალ თეთრ უცნობზე ასვლის წინ.

ავტორის ფოტოები.

# ფავორიტები და სხვები

●

## მსოფლიოს VIII ჩემპიონატის წინ

**კალათბურთი**

**კალათბურთს** ჩეხოსლოვაკიაში საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ ქვეყნის ნაკრები ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში. პირველ წარმატებებს ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე მიაღწია ჩეხოსლოვაკიის გუნდმა — ევროპის პირველობაზე 1935 წელს III ადგილი დაიკავა. გუნდმა 1947 წელს პრაღაში ჩატარებულ კონტინენტის პირველობაში წინ მხოლოდ საბჭოთა კავშირის ნაკრები გაუშვა. 50-იანმა წლებმა კიდევ უფრო მეტი წარმატება მოუტანა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს — მან ოთხჯერ შეძლო სხვადასხვა საპრიზო ადგილების დაკავება. 60-იანი წლების დასაწყისში ჩეხოსლოვაკიის ნაკრები ერთგვარ კრიზისს განიცდიდა. ამის შემდეგ კი იგი ხშირად იკავებდა საპრიზო ადგილებს დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

უკანასკნელ ხანებში გუნდს სათავეში უდგას პაველ პეტერი. ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელია ბრაბანეცი (195 სმ). იგი, როგორც ჩეხოსლოვაკიური ჟურნალი „სტადიონი“ აღნიშნავს, აღიარებულია ქვეყნის უძლიერეს კალათბურთელად. შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის მიხედვით ბრაბანეცი თავის თანაგუნდელ პოსპიშილთან (200 სმ.) ერთად დასახელებულია ოსტენდის ჯგუფის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ.

ნაკრების ერთ-ერთ საიმედო საყრდენს წარმოადგენს ცენტრალური თავდამსხმელი კროპილიაკი (208). იგი ყოველწლიურად უმატებს თამაშს. განსაკუთრებით ძლიერია ფარიდან ასხლეტილი ბურთების დაუფლებაში. ამ მხრივ კროპილიაკმა ჯერ კიდევ მონრეალში გამოიჩინა თავი. იგი აქ მესამე გახლდათ მექსიკელი პალომარისა და კანადელი ჰანსენის შემდეგ, ხოლო საუკეთესო იყო ევროპელებს შორის. კვლავ საიმედოდ თამაშობენ ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ვეტერანები დოუშა (214 სმ), კონოპასეკი (178 სმ), კოსი (206 სმ) და პეტერი (207 სმ).

ვეტერანების გვერდით კარგ თამაშს უჩვენებენ ახალგაზრდებიც: ხრაჩკა (190 სმ), ნეკასი (200 სმ), პტაჩეკი (201) და კლიმეში (196 სმ).

სულ ახლახანს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო ვილნიუსში გამართულ ი. გაგარინის პრიზის გათამაშებაში. იგი ტურნირში კარგად გამოვიდა და III ადგილი მოიპოვა. სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავდნენ ჩეხოსლოვაკიის ნაკრების კარგ სპორტულ ფორმას.

● ● ●

კალათბურთის განვითარების ისტორიას ბრაზილიის ნაკრებმა თავისი დაღი დაასვა. ბრაზილიის ნაკრების ოქროს ხანად ითვლება 60-იანი წლები. ამ პერიოდში ეს გუნდი ორჯერ (1959 წ. და 1963 წ.) გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ხოლო ორჯერ (1954 წ. და 1970 წ.) ვერცხლის პრიზიორი, 1967 წელს III ადგილზე გავიდა. წარმატებით გამოდიოდნენ ბრაზილიელები ოლიმპიურ ტურნირებზეც. 1964 წელს ტოკიოში მათ III ადგილი, ხოლო 1968 წელს მეხიკოში IV ადგილი დაიკავეს. გუნდის წარმატებები მჭიდროდ იყო დაკავშირებული წამყვანი კალათბურთელების ამაურის და უბირატანის სახელთან. შემთხვევითი არ იყო, რომ მათი წასვლის შემდეგ ბრაზილიის ნაკრების თამაში მნიშვნელოვნად



გაუფერულდა. იგი ნელ-ნელა ჩამოშორდა ე. წ. „დიდ ოთხეულს“. ერთი სიტყვით, 70-იან წლების დასაწყისში ბრაზილიის ნაკრებს სერიოზული ჩავარდნა ჰქონდა. მონრეალის ოლიმპიადაში კი საერთოდ არ მონაწილეობდა — გუნდმა ვერ დაძლია შესარჩევი თამაშების ბარიერი. გაცილებით კარგად ითამაშეს ბრაზილიელებმა მეორე საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაში. მართალია, გამანადგურებელი ანგარიშით წააგეს იუგოსლაველებთან (104:63) და იტალიელებთან (100:81), მაგრამ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს მოსკოვში საბჭოთა კავშირის ნაკრებთან 24 მაისის შეხვედრაში. ჩვენმა კალათბურთელებმა მინიმალური ანგარიშით — 93:92 დაამარცხეს მოწინააღმდეგე. უფრო ფართოდ გაშალა ფრთები ბრაზილიის ნაკრებმა საკუთარ მოედანზე შეხვედრებში. მან ტურნირის ხუთივე მატჩში გაიმარჯვა. დაამარცხა მსოფლიო კალათბურთის აღიარებული ფავორიტები — იუგოსლავიის (95:93), საბჭოთა კავშირის (84:82) და იტალიის (90:86) ნაკრები გუნდები.

ყველაფერი ეს ბრაზილიელთა ნაკრების დიდ პოტენციურ შესაძლებლობებზე მეტყველებს.

● ● ●

კანადაში კალათბურთის პოპულარობა სულ უფრო და უფრო იზრდება. ამის დასტურად გამოდგება ბოლო წლებში საერთაშორისო სარბიელზე კანადელთა ნაკრების სერიოზული წარმატებები. პირველად მათ შესახებ საკალათბურთო სამყარო 1973 წელს მოსკოვის უნივერსიადის დღეებში ალაპარაკდა — სულ მცირე სხვაობით წააგეს მასპინძლებთან (81:85) და IV ადგილი დაიკავეს. ასეთი წარმატება კანადელებს მანამდე არ ღირსებიათ. ამ ქვეყნის ნაკრებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც. გუნდმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ წააგო მატჩი იუგოსლაველებთან (99:102), ბრაზილიელებთან (74:75) და კუბელებთან (79:80), ხოლო V ადგილზე გასული ესპანეთის ნაკრები ანგარიშით 86:73 დაამარცხა. საბოლოოდ კანადელები VIII ადგილს დასჯერდნენ, რაც მსოფლიო ჩემპიონატებში კანადელთა საუკეთესო მიღწევა იყო.

კანადის ნაკრების ყველაზე დიდ წარმატებად მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე დაკავებული IV ადგილი ითვლება.

● ● ●

პუერტო-რიკოს ნაკრების გამოსვლები საერთაშორისო სარბიელზე მოწმობენ, რომ ეს გუნდი ყოველთვის ახერხებდა სატურნირო ცხრილის შუაგულში დაეკავებინა ადგილი. იგი ყოველთვის ხდება მოულოდნელი გამარჯვების ავტორი. 1972 წელს მიუნხენში მან დაამარცხა იუგოსლაველები და გამოთიშა ფინალურ ოთხეულს. 1974 წელს პუერტორიკოელებმა ანგარიშით 98:97 დაამარცხეს მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორები — კუბელები. და ბოლოს მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე მხოლოდ მატჩის უკანასკნელ წამებზე წააგეს (95:94) შეხვედრა მომავალ ჩემპიონებთან — ამერიკელებთან. გამორიცხული არ არის, რომ პუერტორიკოელებმა მანილაშიც შემოგვთავაზონ რაიმე მოულოდნელობა.

დასასრულ ორიოდ სიტყვით მოგახსენებთ მასპინძელთა — ფილიპინების ნაკრების შესახებ. სამწუხაროდ, ამ გუნდის მომზადების შესახებ ერთობ ძუნწი ინფორმაცია მოგვეპოვება. მსოფლიო ჩემპიონატში ფილიპინების ნაკრების ყველაზე დიდი წარმატება იყო III ადგილი 1954 წელს. ამჯერად მასპინძლებისთვის ამ შედეგის გამეორება ძალზე ძნელი იქნება. რასაკვირველია, ისინი შეეცდებიან მაქსიმალურად გამოიყენონ საკუთარი კედლების უპირატესობა და გამარჯვებით გაახარონ თავიანთი თაყვანისმცემლები.

● ● ●

ავსტრალიის ნაკრები ალბათ ეცდება სადმე ცხრილის შუაგულში დაიკავოს ადგილი. შეგახსენებთ, რომ მონრეალში ავსტრალიელები VIII ადგილზე გამოვიდნენ.

რაც შეეხება სენეგალისა და დომინიკის რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს, სპეციალისტები მათ აუტსაიდერთა როლს აკუთვნებენ და დასძენენ, რომ მათთვის თვით ჩემპიონატში მონაწილეობა უკვე დიდი წარმატებაა. მაგრამ, მოდით, ნუ ვიჩქარებთ საბოლოო დასკვნების გამოტანას და, როგორც ფრანგები ამბობენ, „დავიცადოთ და ყველაფერს ვნახავთ“. მით უმეტეს, რომ მოსაცდელი აღარცაა. დღეს მანილაში სტარტს აიღებს VIII მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში.

**მ. კალანდაძე.**

**ჭადრაკი**

## 38-ე ჩემპიონატის სტარტი

**2 ოქტომბერს** შავიზღვისპირა ქალაქ ნიკოლაევში (უკრაინა) სტარტს აიღებს სსრ კავშირის ქალთა 38-ე ჩემპიონატის ფინალი. 18 მოჭადრაკის პაექრობამ ჩემპიონთან ერთად უნდა გამოავლინოს ქალთა მსოფლიო პირველობის 1978-81 წლების ციკლის საბჭოთა ზონალური ტურნირის ცხრა მონაწილე (ზონალური ტურნირი ჩატარდება დეკემბერში ფრუნზეში). რა თქმა უნდა, ეს გარემოება ჩემპიონატს დიდ ინტერესს მატებს.

ნიკოლაევში სასპარეზოდ მიწვეული არიან მოსკოვის, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, საქართველოს პირველობებში და ორ ნახევარფინალში (კალინინგრადი, ჩელიაბინსკი) გამარჯვებული მოჭადრაკეები. ხვალ სარბიელზე გამოდიან: საერთაშორისო დიდოსტატები ტ. ზატულოვსკაია, ე. ფატალიბეკოვა (ორივე — მოსკოვი), ი. ლევიტინა (ლენინგრადი), საერთაშორისო ოსტატები ლ. სემიონოვა (კიევი), ტ. ფომინა (ტალინი), ოსტატები ნ. გურიელი, თ. ხუგაშვილი (ორივე — თბილისი), ო. პედკო (ჩელიაბინსკი), ტ. ვორონოვა (უფა), ნ. ტიტორენკო, ვ. სტერნინა, ლ. ზაიცევა, ტ. კოსტინა (ყველა — მოსკოვი), ოსტატობის კანდიდატები მ. წერეთელი (თბილისი), ი. ერუსლანოვა (ვორონეჟის ოლქი), ლ. ლისენკო (უკრაინა), ტ. მინოგინა (მოსკოვი), ლ. პოლნარევა (ლენინგრადი).

ჩვენს მოჭადრაკეებს თან ახლავთ მწვრთნელები: ნ. გურიელს ოსტატი ი. ჩიქოვანი, თ. ხუგაშვილსა და მ. წერეთელს — ოსტატობის კანდიდატი გ. მაჭავარიანი.

ამჯერად ჩემპიონატში არ მონაწილეობენ პერსონალურად მიწვეულნი ნ. გაფრინდაშვილი, მ. ჩიბურდანიძე, ნ. ალექსანდრია, რომლებიც 25 ოქტომბერს არგენტინაში უნდა ჩაებან ქალთა VIII საჭადრაკო ოლიმპიადაში, როგორც სსრ კავშირის გუნდის ძირითადი წევრები. არ თამაშობს, აგრეთვე, შარშანდელი ჩემპიონატის პრიზიორი ნ. იოსელიანი, რომელიც ამჟამად ოლიმპიელთა მზადებაში მონაწილეობს და შეიძლება, საბჭოთა ნაკრების [illegible] წევრი გახდეს. იოსელიანი პერსონალურად [illegible] ზონალურ ტურნირში.

ჩემპიონატი ნიკოლაევში 29 ოქტომბრამდე გასტანს.

## გამარჯვება ინდოეთში

სამხრეთ ინდოეთის ქალაქ ტირუჩირაპალიში დამთავრდა პირველი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც რამდენიმე დიდოსტატი მონაწილეობდა. პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა დიდოსტატმა ე. ვასიუკოვმა — 10 ქულა 12-დან, მეორე იყო ფილიპინელი დიდოსტატი ე. ტორე — 9,5.

## გორელი პრობლემისტის წარმატება

სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ყოველთვიური ბიულეტენის მე-8 ნომერში გამოაქვეყნა 1977 წლის მანძილზე დასტამბული ამოცანების კონკურსის შედეგები.

კონკურსის თავკაცი, საერთაშორისო ოსტატი ი. ვლადიმიროვი წერს, რომ ორსვლიანი ამოცანების განყოფილებაში დაიბეჭდა 17 ავტორის 14 ნაწარმოები. მონაწილეთა შორის იყვნენ ა. დომბროვსკისი (რიგა), ნ. გუტმანი (აშშ), ნ. მაკლეოდი (თბილისი) და სხვ.

I პრიზი მიეკუთვნა გორელ პრობლემისტის შ. სუხიტაშვილის შემდეგ ამოცანას:

**თეთრები: მფa1, ლd8, ეa6, კf3, კf8, მd5, პპ. b7, c3, e2, f6, h4.**
**შავები: მფe5, ეb8, ეh8, კa7, კc8, მa4, პპ. f5, f7.**

**შამათი ორ სვლაში.**

ამოხსნა: 1. მb6! მსაჯის აზრით, ამოცანის პოზიცია და მასალის ეკონომია სათანადო დონეზეა.

შ. სუხიტაშვილმა მიიღო კიდევ ერთი ჯილდო: II საპატიო შეფასება.

II პრიზი ხვდა ა. დომბროვსკისა და ა. გოიტმანისს კოლექტიურ ამოცანას.

**ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში**

# სახლმშენებლები — სპორტის ოსტატები

ალმა-ათის სახლსაშენი კომბინატის დურგალს ფ. კადიროვს ამხანაგებმა გულთბილად მიულოცეს საფრენოსნო სპორტში სპორტის ოსტატის წოდების მინიჭება. ოთხი წლის წინათ კი მან საზღვაო მრავალჭიდში მოიპოვა ოსტატობა. კადიროვის გარდა წლეულს ოსტატობის ნორმატივი შეასრულეს მხურავმა ვ. მატვეევმა, სტადიონის მუშებმა ვ. შლიგერმა და ვ. ცელოვალნიკოვმა.

საწარმოში კარგადაა დაყენებული სპორტულ-მასობრივი მუშაობა. კომბინატის სპარტაკიადაში 2500-ზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.

სახლმშენებლები საკავშირო, რესპუბლიკური და საოლქო შეჯიბრებების არაერთგზის პრიზიორები, ფრენბურთში, აფროსნობასა და ძალოსნობაში რესპუბლიკის ჩემპიონები, კრივსა და ძალოსნობაში სპორტსაზოგადოება „ენბეკის“ ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადაში გამარჯვებულები არიან.

კომბინატის სპორტსმენებს აქვთ დიდი სტადიონი, სამონადირეო-სათევზაო მეურნეობა მდინარე ილიზე, კაპჩაგაის წყალსაცავში დასვენების ზონა „ნეპტუნი“, ზამთრის დასასვენებელი სახლი „მთის ზღაპარი“. შენდება სპორტდარბაზი ჭიდაობისა და კრივისთვის, ჩოგბურთის კორტები. გახსნილია ცურვის, სპორტული ტანვარჯიშისა და ძალოსნობის სკოლები.

**ნ. იდრისოვი.**

ალმა-ათა.

**ფეხბურთი**

## პირველი ლიგა

29 სექტემბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები.

ქუთაისის ტორპედოელები დუშანბეში თამაშობდნენ ადგილობრივ „პამირთან“. გაიმარჯვა „პამირმა“ — 3:0.

სხვა შეხვედრები დამთავრდა ასეთი შედეგებით: „კუზბასი“ (კემეროვო) — ასკ (ოდესა) 4:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 2:0, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 4:1, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „კარპატი“ (ლვოვი) 0:1, „თერგი“ (გროზნო) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 1:4, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — ასკ (დონის როსტოვი) 0:0, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „დინამო“ (ლენინგრადი) 2:1.

**ველოსპორტი**

მრავალდღიან ველორბოლაში საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებმა VI ეტაპზე სევასტოპოლიდან იალტამდე (141 კმ) სცადეს ძალები. უძლიერესი აღმოჩნდა კუიბიშეველი რ. გალიალეტდინოვი, რომელმაც ბოლო აღმართი ყველაზე სწრაფად დაძლია და ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მოწყობილ ფინიშთან მეტოქეებს ნახევარი წუთით მიასწრო — 3:15.45. ეს ამ შეჯიბრებაში მისი მეორე გამარჯვებაა.

ფინიშთან მეორე მივიდა ლენინგრადელი ს. მოროზოვი, მესამე — ამას წინათ საფრანგეთში ჩატარებულ „ტურ დე ლავენირის“ ლაურეატი ს. სუხორუჩენკოვი (კუიბიშევი).

პირად პირველობაში ლიდერობას ინარჩუნებს ა. ავერინი, ხოლო გუნდურში ცისფერი მაისურებით ისევ რსფსრ-ს სპორტსმენები გამოდიან.

რედაქტორის მოადგილე **ზ. ჯაფარიძე.**

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ჭავჭავაძის პრ. № 74)
სსრ კავშირის პირველობა
1 ოქტომბერი




„ელვა“ (თბილისი)— „პოლიტექნიკი“ (კრასნოიარსკი)
დასაწყისი 14.30 ს.
„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „სლავა“ (მოსკოვი)
დასაწყისი 17 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 13301